ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

დოქტორანტების გამოკითხვის ანალიზი

2019-2020 სასწავლო წელი

(შემოდგომის სემესტრი)

მიზანი. გამოკითხვა მიზნად ისახავდა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების კმაყოფილების კვლევა და კვლევის შედეგების ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისა და საერთაშორის სტანდარტებთან მიახლოების მიზნით.

კითხვარი. კითხვარი შედგება რამდენიმე ბლოკისგან:

I. **ზოგადი კმაყოფილების შეფასება (კითხვები 1-3, 9, 12, 14, 15)**:

დოქტორანტების ზოგადი კმაყოფილების დადგენისათვის კითხვარში 5 პუნქტია: შეკითხვები ზოგადად აფასებს სწავლა-სწავლების, კვლევისა და კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელთან კომუნიკაციას.

II. **კმაყოფილების შეფასება შედეგების კატეგორიიათა მიხედვით (კითხვები 4, 6, 8,11, 16-17)**:

წინამდებარე რუბრიკაში აქცენტი კეთდება შედეგების 5 კატეგორიაზე: სასწავლო კურსები, დარგობრივი კომპეტენციების შეძენა, აკადემიური პერსონალის კომპეტენცია, კომუნიკაცია სამეცნიერო ხელმძღვანელთან.

III. **გამოკითხვა სასწავლო კომპონენტების კატეგორიასთან მიმართებაში (კითხვები: 4,5)**: წინამდებარე რუბრიკაში ფასდება სასწავლო კომპონენტების ვალიდურობა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და მათი მნიშვნელობა პროგრამის შედეგებთან მიმართებაში;

IV. **გამოკითხვა კვლევითი კომპონენტების კატეგორიასთან მიმართებაში (კითხვები: 10, 11, 13, 17-18)**: კითხვარის წინამდებარე პუნქტები აჯამებს კვლევითი კომპონენტის შესრულების მიზნით საგანმანათლებლო პროგრამაში დასახულ აქტივობების ვალიდურობას, აქ იგულისხმება შემდეგი კატეგორიები: ხელმისაწვდომობა: სამეცნიერო ბაზებზე, კვლევითი პროცესისათვის სავალდებულო ინფრასუტრუქუტრაზე, მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში და კვლევითი შედეგების პრეზენტაცია-განხილვა ფართო დარგობრივი საზოგადოების წინაშე დ თანამშრომლობა სამეცნიერო ხელმძღვანელთან, რაც გულისხმობს არამხოლოდ ხელმძღვანელობის პროცესსა და კონსულტაციებს, არამედ ჩართულობას ერთობლივი კვლევით პროექტებსა და პროცესებში.

V. **კითხვარის სოციალური ნაწილი (კითხვები: 17-27)**:კითხვარის ბოლო ბლოკი იძლევა დამატებით ინფორმაციას რესპონდენტის შესახებ შემდეგი რუბრიკების მიხედვით: *დოქტორანტის სტატუსის შესახებ, ფაკულტეტი, პროგრამა, პროგრამაზე იმატრიკულაციის თარიღი, სქესი, ასაკი, დასაქმება.*

რესპონდენტისთვის მიწოდებული კითხვარი ანონიმურია.

გამოკითხვის შედეგები.

სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობების ადეკვატურობა ფასდება სრულიად პოზიტიურად სტუდენტთა 55%-ის მიერ, ხოლო პოზიტიურად 42% მიერ, ფაქტობრივი მაჩვენებლის მიხედვით წინაპირობის შედგენისას პროგრამის ავტორები ზუსტად იაზრებენ პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებს, რათა შერჩევის პროცესში მათთვის მიზნობრივად რეალური ჯგუფის შერჩევა მოხდეს, აპლიკანტების დიდი უმრავლესობისთვისაც 97% პროგრამაზე მიღების წინაპიროებები შესაფერისია კონკრეტულ დარგში კვლევითი პროცესების წარმართვის მიზნით;

გამოკითხულ დოქტორანთა უმეტესობა ეთანხმება მოსაზრებას 42,0%, რომ სასწავლო კომპონენტის ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამისთვის ადეკვატურია, სრულიად ეთანხმება პროგრამულ მონაცემებს - 57,5%. მოცემულობის

ადეკვატურობაზე ერთიანობაში 97,5% სტუდენტებისა თანხმდება; სასწავლო კურსების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა დოქტორანტების 60.6% სრულიად ეთანხმება და ეთანხმება 36%, ანუ ერთიანობაში 96,6%. დებულებას, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებულია ადეკვატური (მათ შორის, თანამედროვე) ლიტერატურა- დოქტორანტების 51.5% სრულიად ეთანხმება და ეთანხმება 42%, ანუ ერთიანობაში 93,5%. დებულებას, რომ სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურია- სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 48,4% და ეთანხმება 45,5%, ანუ ერთიანობაში 93,9%. დებულებას, რომ სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი კომპეტენციები, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს- სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 48,4% და ეთანხმება 48,4%, ანუ ერთიანობაში 96,8%. დებულებას, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (ტექნიკური აღჭურვილობით, ლაბორატორიებით და სხვა რესურსებით)-სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 39,3% და ეთანხმება 42,4%, ანუ ერთიანობაში 81,7%. დებულებას, რომ ლექტორების კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია-სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 72,7% და ეთანხმება 24%, ანუ ერთიანობაში 96,7%. დებულებას, რომ კვლევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია-სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 66,6% და ეთანხმება 30%, ანუ ერთიანობაში 96,6%. დებულებას, რომ უნივერსიტეტის ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (Google Scholar, Web of Science, Scopus) ხელმისაწვდომია სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 66,6% და ეთანხმება 30%, ანუ ერთიანობაში 96,6%. დებულებას, რომ კვლევის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი სათანადო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია (ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები და სხვა რესურსები)სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 45,4% და ეთანხმება 39,3%, ანუ ერთიანობაში 84,7%. დებულებას, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების საერთაშორისო მობილობას-სრულიად ეთანხმება დოქტორანტების

39,5% და ეთანხმება 36%, ანუ ერთიანობაში 75,5%. დებულებას, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში თუ სხვა ღონისძიებებში - სრულიად ეთანხმება დოქტორანტების 48,5% და ეთანხმება 33%, ანუ ერთიანობაში 81,5%.

1. გთხოვთ, შეაფასოთ, რამდენად ეთანხმებით თითოეულ დებულებას შემდეგი სკალის მიხედვით, სადაც 1 აღნიშნავს „სრულიად არ ვეთანხმები“, ხოლო 4–„სრულიად ვეთანხმები“.

	სრულიად არ ვეთანხმები	არ ვეთანხმებ	ვეთანხმები	სრულიად ვეთანხმები	საშუალო
სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები ადეკვატურია	0%	3%	42%	55%	3,5
სასწავლო კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია	0%	0%	42%	57,5%	3,5
პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები პროგრამის მიზნების შესაბამისია (რელევანტურია)	0%	3%	36%	60,6%	3,5
სასწავლო პროცესში გამოყენებულია ადეკვატური (მათ შორის, თანამედროვე) ლიტერატურა	0%	6%	42%	51,5%	3,4
სასწავლო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები ადეკვატურია	0%	6%	45,5%	48,4%	3,4
სასწავლო კომპონენტის ფარგლებში დოქტორანტებს შეუძლიათ შეიძინონ ისეთი კომპეტენციები, რომლებიც პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას უწყობს ხელს	0%	3%	48,4%	48,4%	3,4
სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობა უზრუნველყოფილია სათანადო ინფრასტრუქტურით (ტექნიკური აღჭურვილობით, ლაბორატორიებით და სხვა რესურსებით)	3%	12%	42,4%	39,3%	3

ლექტორების კომპეტენცია სწავლების მაღალი ხარისხისთვის შესაბამისია	0%	3%	24%	72,7%	3,6
კვლევითი კომპონენტისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა ადეკვატურია	0%	3%	30%	66,6%	3,6
უნივერსიტეტის ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (Google Scholar, Web of Science, Scopus) ხელმისაწვდომია	0%	9%	30%	60,6%	3,5
კვლევის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი სათანადო ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია (ტექნიკური აღჭურვილობა, ლაბორატორიები და სხვა რესურსები)	3%	12%	39,3%	45,4%	3,2
უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების საერთაშორისო მობილობას	0%	24%	36%	39,5	3
უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტების მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში თუ სხვა ღონისძიებებში	0%	18%	33%	48,5%	3,3

შემდეგი დებულებები ეხება თანამშრომლობას **სამეცნიერო ხელმძღვანელთან.**

ძირითადად, რა ფორმით გაქვთ კომუნიკაცია სამეცნიერო ხელმძღვანელთან? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა)[1]

ხელმძღვანელთან დოქტორანტების კომუნიკაციის კვლევის მიზნით შეთავაზებული იყო 12 პუნქტიანი სეგმენტირებული თემა, მათ შორის პრიორიტეტი რესპოდენტთა მხრიდან მიენიჭა პირისპირ კომუნიკაციას (94%), და კომუნიკაციას ელექტრონული ფოსტით.

[1] გამომდინარე იქედა, რომ სტუდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ რამდენიმე პასუხი, შედეგები შესაძლოა გაცდეს 100%-ს.



რაც შეეხება დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებთან შეხვედრის სიხშირეს, ყველაზე აქტუალურად გამოკითხულთა 67,0% აფიქსირებს შეხვედრებს თვეში რამდენჯერმე, ხოლო, 18,0% აღნიშნავს, რომ მათი შეხვედრა ხორციელდება რამდენიმე თვეში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ 5% აღნიშნავს, რომ ძალიან აქტიურად უხდება სამეცნიერო ხელმძღვანელებთან კომუნიკაცია.



ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა საკითხებთან დაკავშირებით გიწევთ კონსულტაციას სამეცნიერო ხელმძღვანელი? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)[2]



კვლევისთვის საინტერესო იყო არამხოლოდ კომუნიკაციის სიხშირე და ფორმა, არამედ სამუშაო ფორმატის შინაარსი. ამ მიზნით შემუშავდა 29 თემატური ქვეპუნქტისგან შემდგარი კითხვა, რომელიც აზუსტებდა დოქტორანტისა და სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელის შეხვედრების თემატიკას. ძირითადი აქცენტი წინამდებარე კომუნიკაციისას მეტწილად უკავშირდება კვლევითი კომპონენტების განსაზღვრას (68%); სადისერტაციო ნაშრომის თემატური და ფორმალური მხარის დეტალების დაზუსტებას, რომელიც დააფიქსირა გამოკითხულ რესპონდენტთა 76%; დოქტორანტების ხელმძღვანელებთან ურთიერთობა დოქტორანტებისათვის მაღალრეიტინგულ კვლევით პერიოდიკაში ბეჭდვის, საერთაშრისო ფორუმებსა და ღონისძიებებზე რეკომენდაციებისთვის (52%) და ეროვნულ და საერთაშორისო საგრანტო სისტემასთან დაკავშირებით (48%).

[2] გამომდინარე იქედა, რომ სტუდენტებს შეეძლოთ მოენიშნათ რამდენიმე პასუხი, შედეგები შესაძლოა გაცდეს 100%-ს.



კონკრეტულად დოქტორანტების მხრიდან სამი არსებითი შეფასების კრიტერიუმით განისაზღვრა სამეცნიერო ხელმძღვანელთან კონსულტაციების შედეგები, კერძოდ, გამოყენებული იყო მარკერები: *მეტ-ნაკლებად წარმატებული, ძალზე წარმატებული და წარუმეტებელი.* ძალზე წარმატებულად შეაფასა თანამშრომლობა 91%, ხოლო მეტნაკლებად წარმატებულად მიჩნეულ იქნა დოქტორნატთა 9%-ის მიერ.

დოქტორანტების მხრიდან სამი არსებითი შეფასების კრიტერიუმით განისაზღვრა ასევე სამეცნიერო თანახელმძღვანელთან კონსულტაციების შედეგები, კერძოდ, გამოყენებული იყო მარკერები: *მეტ-ნაკლებად წარმატებული, ძალზე წარმატებული და წარუმეტებელი.* ძალზე წარმატებულად შეაფასა თანამშრომლობა 70%, ხოლო მეტნაკლებად წარმატებულად მიჩნეულ იქნა დოქტორნატთა 9%-ის მიერ. მაშინ როდესაც 21%-ს არ ჰყავს თანახელმძღვანელი.



გამომდინარე იქიდან, რომ დოქტორანტები უკანასკნელ ხან სხვადასხვა მიზეზით ხშირად იჩერებენ სტატუსს, საინტერესო იყო ასევე სტატუსის შეჩერების სტატისტიკაზე დაკვირვება, თუმცა გამოკითხულ დოქტორანტთა 85% არასდროს შეუჩერებია სტატუსი, ხოლო 15%-ს მხოლოდ ერთხელ აქვს სტატუსი შეჩერებული.



სტატუსის შეჩერების მიზეზი-დატვირთული სამუშაო გრაფიკია.

8. რა გამხდარა სტატუსის შეჩერების მიზეზი? (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის არჩევა)

მე-8 შეკითხვას უპასუხეთ მხოლოდ სტატუსის შეჩერების შემთხვევაში.

1. სასწავლო კომპონენტის დატვირთული გრაფიკი
2. დოქტორანტისადმი სასწავლო კომპონენტის ფარგლებში წაყენებული მაღალი მოთხოვნები შინაარსობრივი / შეფასების თვალსაზრისით
3. კვლევით კომპონენტში (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში) გამოვლენილი ტექნიკური სირთულები
4. კვლევით კომპონენტში (სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პროცესში) გამოვლენილი შინაარსობრივი სირთულეები
5. დატვირთული სამუშაო გრაფიკი
6. ჯანმრთელობის მდომარეობა
7. ოჯახური მდგომარეობა
8. ფინანსური პრობლემები
9. სხვა----------



რესპონდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები მოცემულია მომდევნო დიაგრამებზე.


საგანმანათლებლო პროგრამა
3%
24%
73%
ტრანსლიაციური ბიომედიცინა (მიმართულება - "ჰეპატოლოგია")
საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია
კლინიკური და ტრანსლიაციური მედიცინა


სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წელი
80%
70%
60%
50%
40%
30%
20%
10%
0%
9%
6%
6%
12%
67%
2015 წელი
2016 წელი
2017 წელი
2018 წელი
2019 წელი


სქესი
12%
88%
მდედრობითი
მამრობითი


ასაკი
33%
27%
15%
15%
6%
3%
25-30 წელი
31-35 წელი
36-40 წელი
41-45 წელი
46-50 წელი
51-55 წელი


ხართ დასაქმებული?
დიახ
97%
ვიყავი დასაქმებული, მაგრამ ამჟამად არ ვარ
3%
0%
20%
40%
60%
80%
100%


რომელ რგოლში ხართ დასაქმებული?
45%
40%
35%
30%
25%
20%
15%
10%
5%
0%
27%
42%
30.30%
მაღალი რგოლის თანამშრომელი/მენეჯერი
რიგითი თანამშრომელი
საშუალო რგოლის თანამშრომელი/მენეჯერი



გასული წლების კვლევების ანალიზის საფუძველზე საუნივერსიტეტო ადმინისტრაციამ შეაფასა რა სადოქტორო პროგრამის მონაწილეთა პოზიტიური და ნეგატიური მოსაზრებები, მიიღო გადაწყვეტილება, რომ გააქტიუროს ადმინისტრაციული კომუნიკაცია ახალგაზრდა მკვლევარებთან, რასაც მოჰყვა უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების გაერთიანებული შეხვედრები და დისკუსია პირველკურსელ დოქოტორანტებთან, მათ შორის ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტის ცალკეული დეპარტამენტების წარმომადგენლებმა დიალოგის რეჟიმში გააცნეს დოქტორანტების ყველა დაგეგმილი სიახლე და მოისმინეს მათი კონკრეტული მოსაზრებები, რის საფუძველზე ეტაპობრივად დაიგეგმება მთელი რიგი პროცესებისა და პროცედურების გაუმჯობესება. აღნიშნული მიდგომები პოზიტიურად არის ასახული დოქტორანტების შეფასებებზე. უკანასკნელ პერიოდში დოქტორანტურის პროგრამებმა საუნივერსიტეტოს სივრცეში განიცადეს მთელი რიგი ცვლილებები, შეიცვალა რიგი პროცედურები.